

ცნობები სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შესახებ

სააქციო საზოგადოება „თელასი“ გაცნობებთ, რომ შედგა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმი შედგენილ იქნა **2014 წლის 09 ივნისს**.

ჩატარების ფორმა:	ერთობლივი დასწრება
ჩატარების ადგილი:	თბილისი, ვანის ქ. 3.
ჩატარების თარიღი:	2014 წლის 09 ივნისი
ჩატარების დრო:	17 სთ. 30 წთ.
საერთო კრების კვორუმი:	ხმის უფლების მქონე აქციათა 99,65747%

აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი:

საკითხი 1. საზოგადოების **2013 წლის წლიური ანგარიშის და ფასს-ის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;**

საკითხი 2. **2013** ფინანსური წლის შედეგების შესაბამისად საზოგადოების მოგების მათ შორის დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) და ზარალის განაწილება;

საკითხი 3. საზოგადოების **2014 წლის აუდიტორის დამტკიცება;**

საკითხი 4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

I. დღის წესრიგის პირველ საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

„დამტკიცდეს საზოგადოების **2013 წლის წლიური ანგარიში და ფასს-ის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგება დანართი №1 თანახმად**“.

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა **99,999911%**; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0,000089%“.

გადაწყვეტილება მიღებულია.

II. დღის წესრიგის მეორე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

1. 2013 ფინანსური წლის შედეგების მიხედვით საზოგადოების წმინდა მოგების განაწილება არ განხორციელდეს **37 883 000** (ოცდაჩვიდმეტი მილიონ რვაას ოთხმოცდა სამი ათასი) ლარის ოდენობით წმინდა ზარალის მიღებასთან დაკავშირებით.

2. 2013 ფინანსური წლის შედეგების მიხედვით დივიდენდები არ გაიცეს.“

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 99,9799%; „წინააღმდეგი“: „0,0201%“. „თავი შეიკავა“: „0“.
გადაწყვეტილება მიღებულია.

III. დღის წესრიგის მესამე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

„საზოგადოების 2014 წლის აუდიტორად დამტკიცდეს EY Georgia LLC (საქართველო, თბილისი, 0105, კოტე აბხაზის ქ. №44, გგსნ 204441158)“.

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 99,999911%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0,000089%“.

გადაწყვეტილება მიღებულია.

IV. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

“სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭო არჩეულ იქნას შემდეგი შემადგენლობით:

- 1) ვოლკოვი დიმიტრი ევგენის ძე
- 2) ოკლეი პაველ ივანეს ძე
- 3) მირსიაპოვი ილნარ ილბატირის ძე
- 4) პახომოვი ალექსანდრე ალექსანდრეს
- 5) ჭინჭარაული თემური გრიგოლის ძე
- 6) ჯორბენაძე ვახტანგ სამსონის ძე

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 99,999911%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0,000089%“.

გადაწყვეტილება მიღებულია.